

“გამოთვლითი ფიზიკის“ სასწავლო - სამეცნიერო ინსტიტუტის წლიური  
ანგარიში (2013 წ.)

*რევაზ ზარიძე*

e-mail: [revaz\\_zaridze@mail.ru](mailto:revaz_zaridze@mail.ru), [rzaridze@lae.tsu.ge](mailto:rzaridze@lae.tsu.ge)

რადიოფიზიკა, ფიზიკური პროცესების მოდელირება, თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

აღნიშნულ ინსტიტუტში მუშაობს 9 დოქტორი, 5 დოქტორანტი, 2 რადიოინჟინერი, 4 მაგისტრანტი და 1 ბაკალავრი, სულ 21 თანამშრომელი. აღწერილია ინსტიტუტის სტრუქტურა, რომელიც შედგება 4 განყოფილებიდან და მოყვანილია მისი კავშირი სხვა ქვეყნების ინსტიტუტებთან და ორგანიზაციებთან. 4-ვე თემატიკის გასაგრძელებლად 2013 წარდგენილი იქნა პროექტი **რუსთაველის ფონდში** გრანტების მოსაპოვებლად. შემდეგ მოყვანილია 2013 წელში ინსტიტუტში მიღებული გრანტები. აღწერილია ინსტიტუტის ძირითადი თავისებურებანი, ასევე მოყვანილია ბოლო 10 წლის განმავლობაში დაცული დისერტაციების სია რომელიც 7 გვარისგან შედგება. აღწერილია ინსტიტუტში არსებული ტრადიცია და უპირატესობა - ანუ ძირითადი საშუალებები და იარაღი, რომლებიც განაპირობებენ კვალიფიცირებულ სასწავლო-სამეცნიერო მუშაობას. განხილულია ინსტიტუტში შესრულებული სამეცნიერო მუშაობა მასში არსებული განყოფილებების მიხედვით. ყოველწლიურად ჩვენს ინსტიტუტისა და ლვოვის მექანიკისა და მათემატიკის გამოყენებითი ინსტიტუტის ბაზაზე, ტარდება საერთაშორისო კონფერენცია IEEE -ს მონაწილეობით. გასულ 2013 წელს ჩატარდა რიგით მე-18 ლვოვში. წელს ეს ღონისძიება ჩატარდება თბილისში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 22-26 სექტემბერში რიგით მე-19.

ოთხივე განყოფილებაში მიმდინარე სამეცნიერო მუშაობის მოკლე აღწერა: შედარებით ვრცლად აღწერილია დაცვის სისტემის დარგში მიმდინარე სამეცნიერო მუშაობა. აღნიშნულია იონოსფეროს ლაბორატორიასთან ერთობლივი სამეცნიერო თანამშრომლობა, აგრეთვე დაცვის სისტემის შესწავლისათვის საჭირო დიდი სივრცის გამოყენება ტაბახმელის ლაბორატორიის ტერიტორიაზე. ბოლოს მოყვანილია იმ შრომების სია, რომელიც გამოქვეყნებულ იქნა გამოთვლითი ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერების მიერ 2013 წლის განმავლობაში. სრული შრომების რაოდენობა არის 14; მათ შორის 2 სტატია იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალში, 2 რეცენზირებად ჟურნალში, 6 პროსიდინგების მქონე კონფერენციების შრომებში, რომელიც თითოეული შედგება არანაკლებ 4 გვერდისგან და 4 აბსტრაქტის სახით კონფერენციებზე. ყველა პუბლიკაცია გამოცემულია საერთაშორისო გამომცემლობებში